თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 20 ოქტომბერი, სხდომის ოქმი #8

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები –2, სულ –26 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის მარინე მინდორაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. მოდულარულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.
/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

8. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კობახიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჟანიძე/

9. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს არ ესწრება მდივანი ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე და წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი *მარინა მაისურაძე.*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ
/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში შემოვიდა ეკონომიკური და სოციალური

სტატისტიკის კათედრის სხდომის ოქმის ამონაწერი (ოქმი №1 28.09.2017) პროფესორ ს. გელაშვილის ხელმოწერით, რომელშიც კათედრამ საბჭოს ახალ წევრად წარმოადგინა ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ საბჭოს სთხოვა ასოცირებული პროფესორის მარინე მინდორაშვილის საბჭოს წევრად უფლებამოსილების შესახებ მიეღოთ გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალ წევრად არჩეულ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი.

მოისმინეს: 1991 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ პოლიტეკონომიის *(დღე)*, სტატისტიკის *(დღე, საღამო)*, კრედიტის *(დღე, საღამო)*, ფინანსების *(დღე, საღამო)*, საბუღალტრო აღრიცხვის *(დაუსწრებელი)*, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის *(დღე)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის მომზადების თაობაზე განცხადებით მომართვა ეკონომიკის ფაკულტეტის 1991 წლის კურსდამთავრებულ **ზურაბ ქესანაშვილმა** დიპლომის დაკარგვის გამო.

ზურაბ ქესანაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე

არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ზურაბ ზაურის ძე ქესანაშვილი** 1984 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამო განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/630, 25.08.1984). ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის საღამო სწავლების II კურსის სტუდენტს ზ. ქესანაშვილს სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო მიეცა აკადემიური შვებულება 1986 წლის ივნისიდან (ბრძანება №4/444, 27.06.1986) და 1988 წლის 6 ივნისს საბჭოთა არმიიდან დემობილიზერებული აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში შრომის ეკონომიკის სპეციალობის საღამო სწავლების III კურსზე (ბრძანება №4/694, 13.07.1988).

ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის 26 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1991 წლის 17 ივლისის №4/491 ბრძანებით საღამო განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზურაბ ქესანაშვილს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1991 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ШВ№813165 (სარეგისტრაციო №01/126) რეგისტრირებულია ზურაბ ზაურის ძე ქესანაშვილის სახელზე.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა 1991 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 26 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი. წარმოდგენილი დოკუმეტებიდან ირკვევა, რომ 1991 წელს ფაკულტეტზე

მოქმედებდა ხუთი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები.

ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ა. ჯანჯღავა; წევრები: გ. ადეიშვილი, ვ. ბადრიძე, ბ. გაბიძაშვილი, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა)*მიერ 1991 წლის 22 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი. კორტავა; წევრები: ნ. ბაგრატიონი, ვ. ჩანტლაძე, კ. გიგაშვილი, ვ. ჭაია)*მიერ 1991 წლის 21 ივნისს წარმოებულია 5 ოქმი. აქედან მხოლოდ ერთ ოქმს აქვს მინიჭებული ნომერი 30.

ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ.ი. დათუკიშვილი; წევრები: თ.ა.ჭიაბრიშვილი, ე.მ. მექვაბიშვილი, მ.ვ. ტუხაშვილი, ვ.მ. გურგენაძე, ჯ.ვ. ხარიტონაშვილი)* მიერ 1991 წლის 26 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი, 30 ნოემბერს - 1 ოქმი და 2 დეკემბერს - 2 ოქმი. არცერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ. ახალაია; წევრები: ო. საღარეიშვილი, ა. სილაგაძე, ი. გიგოშვილი, მ. გოცირიძე)*მიერ 1991 წლის 28 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი, ხოლო 5 დეკემბერს - 4 ოქმი. მათგან მხოლოდ 28 ივნისს წარმოებულ ერთ ოქმს აქვს ნომერი (№4) მინიჭებული.

ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი. კორტავა; წევრები: ნ. ბაგრატიონი, პ. ბერიშვილი, ვ. ჩანტლაძე)*მიერ 1991 წლის 28 ნოემბერს წარმოებულია 2 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოიკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის სხდომის ოქმებისთვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) განსაზღვრის შესახებ. ამჟამად, კი განვიხილავთ ეკონომიკის ფაკულტეტის №1, №2, №3 და №5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის სხდომის უნომრო

ოქებს, რომელთათვისაც განხორციელდება ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული პოლიტეკონომიის *(დღე)* და სტატისტიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>პოლიტეკონომიის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>სტატისტიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>საღამო</u> განყოფილების <u>სტატისტიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№3/პ***.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ფინანსების *(დღე, საღამო)*, კრედიტის *(დღე, საღამო)* და საბუღალტრო აღრიცხვის *(დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული

ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების კრედიტის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „კრედიტის“კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №30, 21.06.1991.***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების კრედიტის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№31/ბ***.
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№32/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№33/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ბუღალტრის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „საბუღალტრო აღრიცხვის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№34/ბ***.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის *(დღე)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26

ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>შრომის ეკონომიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>საღამოს</u> განყოფილების <u>შრომის ეკონომიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ზურაბ ქესანაშვილი) „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>საღამოს</u> განყოფილების <u>შრომის ეკონომიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 30 ნოემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 30 ნოემბერი*** და ნომრად ***№4/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>შრომის ეკონომიკის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 2 დეკემბერი*** და ნომრად ***№5/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>სახალხო მეურნეობის დაგეგმვის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 2 დეკემბერი*** და ნომრად ***№6/3***.

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული კრედიტის *(დღე)* და ფინანსების *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>კრედიტის</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ნოემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ნოემბერი*** და ნომრად ***№1/3***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის <u>დღის</u> განყოფილების <u>ფინანსების</u> სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ნოემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ნოემბერი*** და ნომრად ***№2/3***.

5. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1991 წლის ივნისის, ნოემბრის და დეკემბრის თვეში წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის 22 ივნისის სხდომის ოქმები; 2. ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წლის 26 ივნისის, 30 ნოემბრის და 2 დეკემბრის სხდომის ოქმები; 3. ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22 ივნისის სხდომის ოქმი და 4. ეკონომიკის ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის 28 ნოემბრის სხდომის ოქმი)*მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი ზურებიანის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი ზურებიანის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

გიორგი ზურებიანის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები

არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი ზურებიანი 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004). საბაკალავრო პროგრამის დასრულების მიზნით 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თვითდაფინანსებით მიეცა სწავლის გაგრძელებისა და X სემესტრში დარეგისტრირების უფლება (ბრძანება №373/01-04, 06.03.2009).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ზურებიანს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009).*

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №002779 (სარეგისტრაციო №01/400943) რეგისტრირებულია გიორგი ზურებიანის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა არქივიდან მიღებული 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილი ოქმების დანართებში არ იძებნება გიორგი ზურებიანის გვარი, ამიტომ მიზანშეწონელია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წლის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია. თსუ იურიდიულ დეპერტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად მიზამშეწონილია განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მითებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ გიორგი ზურებიანის ბაკალავის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 27 ნოემბერი*** და ნომრად ***№2333/3***.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან შემოვიდა წერილი ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულის ელენე ფიცხელაურისთვის მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ.

ელენე ფიცხელაური 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე - საერთაშორისო საწარმოთა მართვა (ბრძ. №1603/01-04, 29.09.2014). 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში შეისწავლა თსუ უნივერსიტეტში პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო, არჩევითი სასწავლო კურსები და აითვისა 60 კრედიტი, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე სწავლა გააგრძელა ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში, რომლის დასრულების შემდეგ მათ მიანიჭეს შესაბამისი მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2017 წლის 16 აგვისტოს ელენე ფიცხელაურმა ფაკულტეტზე წარმოადგინა ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის ინივერსიტეტში მინიჭებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიამ ელენე ფიცხელაურს უღიარა იენის ინივერსიტეტში ნასწავლი საგნები (60 კრედიტი), აქედან 12 კრედიტი არის სამაგისტრო პროგრამის სავალდებული სასწავლო კურსი, 24 კრედიტი არის არჩევითი სასწავლო კურსი და სამაგისტრო ნაშრომი 24 კრედიტი. მიუხადევად იმისა, რომ თსუ და იენის უნივერსიტეტის არჩევითი სასწავლო კურსები არ არის პირდაპირ თანხვედრაში თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის არჩევით კურსებთან, მაგრამ სასწავლო კურსები თემატურად და შინაარსობრივად შეესაბამება ერთმანეთს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთობლივი პროგრამა მილევად რეჟიმშია გადაყვანილი, აქედან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულ ელენე ფიცხელაურს ათვისებული აქვს თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 120 კრედიტი.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ 2017 წლის კურსდამთავრებულ ელენე ფიცხელაურისთვის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიენიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ 2017 წლის კურსდამთავრებულ ელენე ფიცხელაურს მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და გაიცეს:

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ფიცხელაური ელენე 01008042743

მოისმინეს: ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შევიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან წერილი, რომელშიც თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წერილის (№16615/10-02, 18.09.2017) ითხოვდა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულის ***ია აფციაურის*** დიპლომის დანართს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ***ია აფციაური*** 2003 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე თვითდაფინანსებით. (ბრძანება №04-02/03-29. 26.07.2003).

2008 წელს ***ია აფციაურს*** მიენიჭა **ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,** ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით. (ბრძ. №01-12/24 02.07.2008 საფუძველი: *ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის წარდგინება და საკვალიფიკაციო-საატესტაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმი* №43 30.06.2008), მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ ***ია აფციაურისათვის*** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით: ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის 2008 წლის 2 ივნისის №01-12/24 ბრძანებაში ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ***ია აფციაურს*** ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ ***ია აფციაურს*** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციის შესაბამისად ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

მოისმინეს: ე. ხარაიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ. კერძოდ, მან საბჭოს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შევიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან წერილი, რომელშიც თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წერილის (№15413/10, 14.09.2017), ითხოვდა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულის ***ნინო რევაზიშვილის*** დიპლომის დანართს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ***ნინო რევაზიშვილი*** 2002 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო

ინსტიტუტში, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე თვითდაფინანსებით. (ბრძანება №04-02/04-72. 22.08.2002).

2006 წელს *ნინო რევაზიშვილს* მიენიჭა **ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,** ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით. (ბრძ. №01-38/24 02.10.2006 საფუძველი: *დისტანციურ-საკონსულტაციო სწავლების სექტორის ხელმძღვანელის წარდგინება და საკვალიფიკაციო-საატესტაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმი* №13 16.09.2006) მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა ყოფილი თეუსუ-ს 2006 წლის კურსდამთავრებულ ***ნინო რევაზიშვილისათვის*** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით: ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის 2006 წლის 2 ოქტომბრის №01-38/55 ბრძანებაში ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ნინო რევაზიშვილს ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ყოფილი თეუსუ-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულ ***ნინო რევაზაშვილს*** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციის შესაბამისად ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილის ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. კერძოდ ცვლილებები განხორციელდა ცალკეულ სილაბუსებში:

ა) დაზუსტდა შეფასების ფორმები:

- „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსში (ავტ. გ. ღაღანიძე, ბ. რამიშვილი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დასკვნით გამოცდაზე გახდა 16 და გამოცდაზე დაშვების ქულა არის 21. დასკვნითი გამოცდა არის 30 ქულიანი.
- „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების“ სილაბუსში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმა 4 თეორიული საკითხის ნაცვლად შეიცვალა ტესტებით.
- ბ) შესწორდა ცალკეული თემის ზოგიერთი საკითხი:

„შესავალი ტურიზმში“ სილაბუსში პირველ და მეორე თავში განხორციელდა საკითხების კორექტირება და შესაბამისად ლიტერატურის გვერდების კორექტირება.

გ) დაზუსტდა სასწავლო ლიტერატურაში მითითებული წასაკითხი გვერდების რაოდენობა:

- „მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსში ახლად გამოცემული თარგმნილი სახელმძღვანელოს მიხედვით შეიცვალა მითითებული სასწავლო ლიტერატურის გვერდები.

დ) შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი:

- სასწავლო კურსი „ევროკავშირის ბიზნესის გარემო“ ასოც. პროფ. რ. ფუტკარაძის ნაცვლად წარმოდგენილია ასოც. პროფ. ლარისა ყორღანაშვილის ავტორობით. უცვლელი დარჩა შეფასების სისტემა, მაგრამ განახლდა სასწავლო ლიტერატურა და თემატიკა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№656 2017 წლის 13 ოქტომბერი, ჩარჩო დოკუმენტში

ცვლილება) საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ-მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებში (შემფასებელი V საფეხური; საბაჟო საქმე V საფეხური; საქართველოს კულტურილი მემკვიდრეობის გიდი V საფეხური; ტუროპერატორი V საფეხური; სასტუმრო საქმის სპეციალისტი IV საფეხური) განხორციელებული ცვლილებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (შემფასებელი V საფეხური; საბაჟო საქმე V საფეხური; საქართველოს კულტურილი მემკვიდრეობის გიდი V საფეხური; ტუროპერატორი V საფეხური; სასტუმრო საქმის სპეციალისტი IV საფეხური) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№656, 2017 წლის 13 ოქტომბერი) შესაბამისად.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილებები დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.
2. ამოღებულ იქნეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქციით: „გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის დოქტორანტები, რომლებიც დააგროვებენ ყველაზე მაღალ შეფასებას განსაზღვრული ადგილების შესაბამისად.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოუთქვეს: პროფესორმა ს. გელაშვილმა, პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა ე. ლეკაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 0
წინააღმდეგი – 26

დაადგინეს: წარმოდგენილ დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესი კიდევ ერთხელ გადაიხედოს, მოხდეს მისი სრულყოფა და განხილვა გადაიგოს შემდეგი საბჭოსთვის.

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კობახიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჟანიძე/

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კობახიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ. ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტმა სალომე კობახიძემ მოგვმართა განცხადებით (№6471/29, 20.10.2017) სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №8 19.11.2010) შესაბამისად ფაკულტეტის პერსონალს (ადმინისტრაციულ-დამხმარე ან აკადემიური), განესაზღვრათ შეღავათი, წლიური სწავლის საფასურის 50%-ის ოდენობით. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (ოქმი №11, 20.10.2017) გადაწყვეტილებით, როგორც ფაკულტეტის პერსონალ-დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტს სალომე კობახიძეს მოქმედი რეგულეციების შესაბამისად გაეწიოს შეღავათი და სწავლის საფასური გადაიხადოს 50%-ის ოდენობით.

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ თ. ბერიძის ინფორმაცია ემერიტუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე 11 სექტემბერს შემოვიდა განცხადება ემერიტუსუს მინიჭებასთან დაკავშირებით, მაგრამ დროის ფაქტორის გამო მისი განხილვა სემესტრებს შორის შუალედში ვერ განხორციელდა. ამასთან, 2017 წლის 15 სექტემბერს თსუ აკადმიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (№109/2017) და ერთი სემესტრით შეაჩერა 2012 წლის 28 მაისის №36/2012 დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მუხლები, რომლითაც განსაზღრული იყო უნივერსიტეტის აკადმიური თანამდებობის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭება და ანაზღაურების განსაზღვრა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ფაკულტეტის საბჭო აღნიშნული განცხადებას ემერიტუსთან დაკავშრებით განიხილავს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალდეში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი მ. მაისურაძე